


საქართველო



სამეცნიერო და სალიბერატორო ნახაბეიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 12.

აპრილის 21, 1893 წ.

№ 12.


შინაჩისი — ეფუ ღვერი. — ხალხური ლექსი აკაცისა. — მატინე. — მოსეს სიკელილი, თ. რაზიკაშვილისა. — ჩვენი სახალხო სამკითხველო ა. წ. — სა. — ხალხური ლექსი, ფზეში ჩაწერილი გრ. აფშინდაშვილისა. — მარია ლუიზა ბურბონისა გ. — ლისა. — ქართველთა რაოდენობის გამოსანაგარი შეზღად ა, ხახანაშვილისა. — * * * ლექსი შერცხალასი. — ქალაღლის სასტუმრო დარბაზი ჩიკაგოში. — ჩვენი საზიობის ისტორია XX — სა. შეტდომის გასწორება.

ქულ ფერი

თავმჯდომარე

საფრანგეთის სენატის

არტის 13 მო-
გვეყვილა აშბა-
ვი, რომ ქულ-
ფერი, პრეზიდენტი
საფრანგეთის სენატი-
სა უტებ გადაიცე-
ლაო. მისმა სიკელი-
ლომა დიდი მწუხარება
გამოიწვია მთელს საფ-
რანგეთში. ყველა ამ-
ტკიცებს, რომ ფე-
რის სიკელილით დიდი
ენება მიეცა საფრან-
გეთსაო. გამზეტას სი-
კელილის შემდეგ ამის-
თანა დასაკლისი არა



მოსელია-რა ამ სახელ-
მწიფოს. ვინც მისს
წარსულს ღვაწლს მო-
იგონებს სამშობლო-
სადმი, უნებლიედ
რწმუნდება, რომ სა-
ფრანგეთის რესპუბ-
ლიკის წეს-წყობილე-
ბას ღონიერი ბურჯი
გამოეცაო. ეს იყო
ერთი უდიდესი შორს
გამჭერეტი კეუსი პატ-
რონი ფრანკუზი. თუ-
მცა მჭერ-მეტყველე-
ბით იგი ვერ შეედრე-
ბოდა გამზეტას, მაგ-
რამ საქმიანობით, და-
მსახურებით, ღვაწლით
და განუღრეკელი ხა-
სიათით კიდევ გადა-

ქარბებდა მას. პრეზიდენტის მაკმაონის ვადყენება სულ მისი ბრალი იყო. ის მიხვდა, რომ საფრანგეთში რესპუბლიკურ წეს-წყობილებას ნიადაგი არ ჰქონდა, სანაზღის ხალხის აღზრდა სამღვდელთებისა და იეზუიტების ხელში იქნებოდა. იმათს გავლენას, მთელი საუკუნოებში, ისეთი ფესვი ჰქონდა გამდარი ხალხში, რომ მისი ამოფხვრა ევრეტერთ საფრანგეთის მთავრობას ვერ მოეხერხებინა. თეთ ნაპოლონ დიდმა მოიხარა ქვედი კათოლიკის სამღვდელთების წინაშე, რადგან სწამდებოდა სწავლობდა ყოველი თვის კაროლებისა და იმპერატორების დინასტიებს, სძადა რესპუბლიკური წეს-წყობილება, ამისთვის რესპუბლიკა ფესს ვერ მოიმაგრებდა ევროპდეს, თუ რომ სამღვდელთების ახალთაობის აღზრდას ხელიდან არ გამოჰკლებდნენ იეზუიტებს ხალხის ოჯახიდან არ ვანდენილენ. უამისოდ ახლანდელს მთავრობას მკვიდრი ნიადაგი არ ექნებოდა საფრანგეთში. სამღვდელთებამ დალუპა ორი წინადადლი რესპუბლიკა და ამ მესამესკად მათსადე ბედს უქადა, მაგრამ ოთხმოცის წლების დასაწყისში ფერის ჩაუვარდა ხელში განათლების მინისტრობა საფრანგეთის რესპუბლიკისა, მაშინვე გულ-შეუფერხებლად შეებრძოლა ამ საშიშ წოდებს და გამოჰკლიჯა კიდევ ხელიდან ახალი თაობა. იეზუიტები განდენა საფრანგეთიდან და ახალთაობის აღზრდა რესპუბლიკურს მთავრობას ჩაბაზრა ხელში. ამით მან ალაგმა ძველი პარტიები, რომელთაგანი ზოგი ჯერ კიდევ ნაპოლიონის დინასტიასზედ ფიქრობდა, ზოგიც ორლეანის გვარის გამეფებაზედ. ამას გარდა ფერის ყოველთვის მიანდა ქვეყნის დამღუბეულად ხალხის აღვლება გერმანიელების წინააღმდეგ. თუ ფრანკუზებს ვარემ ქვეყნებზე არ მიუთითო, ფიქრობდა იგი, დღეს თუ ხელა, შეიძლება გერმანიელებთან ომი ატყდესო და ქვეყანა დაიღუბებო. აი, ამის გამო იგი შეუდგა კოლონიების გაძლიერებას. შეესია ინდოეთის ერთს სახელმწიფოს, ძალიან მდიდარს ტანკინის ქვეყანას, რომელიც სიერციით თეთ საფრანგეთს უღარიბა და დაიპყრო. მან აგრეთვე მიაქტა თათისი ყურადღება ტუნისისა და ეკვიპტის საქმეებს და ამ ქვეყნებშიაც გააღიდა საფრანგეთის გავლენა. ამ ღონისძიებით დააცხრო მან შფოთი გერმანიასა და საფრანგეთს შორის. მაგრამ მის მტრებს არ სძინავდა: შეუტყეს ხერხი, რომ ვარემ პოლიტიკის საშუალებით შინაურს გამწეაებას აქრობდა. ამ დროს ტანკინის ქვეყანაში მოხდა განდგომილება ფრანკუზების წინააღმდეგ და ეს დროებით დიდი საზარალი შეიქმნა საფრანგეთის სახელმწიფოს ხაზინისათვის. ამითი ისარგებლეს ძველი წეს-წყობილების მიმდევართა, განდენილმა სამღვდელთ-

ბამ და გერმანიის მეტოქე რადიკალურმა პარტიამ; შეერთდნენ ყველანი და ჩამოადგეს ფერის მინისტრობიდან. იმათ ისეთი სიმძულეარე აუტეტეს ხალხში ამ ხინებულის მოღვაწეს, რომ ევანათ ფერის სამუდამოდ დეცოა. მაგრამ დრო გამოიცივლა. ამ უკანასკნელს ხანებში, პანამის საქმემ ძალიან შეარყია საფრანგეთის პოლიტიკური მდგომარეობა და არა შინავანი პოლიტიკის საქმეები. სამღვდელთებამ ისევ იწყო გავლენის მოპოება საფრანგეთის ერთს, ისევ წამოჰყვეს თავი ბულანტისტებმა და ძველი სამეფო ტახტის მომხრეებმა. ჩენს ხელმწიფე იმპერატორსაც არ იამა საფრანგეთის ასეთი რყევა და მისი დიდებულების თანავრძინობის დაკარგვა კი საფრანგეთს სიკდილიად მიანდა. აი, ამ ვაქირებულს მდგომარეობაში ყველამ მოიგონა ისევ რუა წლის განმავლობაში დენული ფერის. თუ ვინმე გამოიყენას საშობლოს ამ ვაქირებიდან, ისევ გულ-მაგარი, შორს-გამქერეტი და მხნედ მომქმედ ფერისო, წარმოსატქეს რესპუბლიკელებმა; მოწინააღმდეგებმა კი ხმა გაიკმინდეს.

აი, ასეთი მოსახრება იყო მიხეზი, რომ პრეზიდენტის კარნოს სურვილის წინააღმდეგაც ამოარჩის იგი სენატის პრეზიდენტად თებერელის 24 (12); მაგრამ მარტში ასეთმა სახელოვანმა მამულისშიგომა უეცრად სული განუტევა. აღარ დასკალდა მას საფრანგეთის სი გაძლილა ამ ვაქირებულს დროს, როცა მისი ვამქირაზი გონება ყველაზედ მეტად ეჭირებოდა თავის საშობლოს. ის მოკვდა გულის ავადმყოფობის გამო, რომელიც შეწებია მას ერთ ჭრლობას შემდეგ.

ხალსური



ინდერად ევლო თეთრი ქვა,
დაქქარ ხელი, თან ამყა...
ქალო, შერი, სიყვარული,
სადაც წაველ, თან წამყვა.

ქვა უბეში ჩაედევი,
დამამძიმა, დამძალა!...
ქალო! შერი სიყვარულიც
გამწარდა, ვით სამსალა.

ქვა ავილი, გადავადგი,
მიუვმატე ძველ-ყორეს...
ქალო, შერი სიყვარულიც
გადუშლოცე მეორეს!

იმ ქვას წვიმა დაავლებს,—
ერემლები შენს სიყვარულს...
მაგრამ წვიმა ქვას ვერ აღობოს
და ერემლები კაცის გულს.

მატიანე



რთი დრო იყო, როცა ისტორია მარტო მეფეთა და მთავართა ტახტზედ ასელა-ჩამოსვლის ამბავი ეგონათ; ყოველ დღიური ცხოვრება, ავი და კარგი უბრალო ადამიანისა, მისი ქირი და ლხინი პირდღში იყო მიყენებული, მემატია-ნენი სწერდნენ: მივე ბაჟურ ავიდა ტახტსა ზენა წელსა ქრისტესით ამა და ამდენსა, მოკვდა წელსა ამა-და-ამდენსა, იმეფა კეთილად... ქვეყანას ან მურვან ყრუ უნდა შემოსევოდა, ან ჩინგის-ყანი, რომ ეს ერთფერობა მატიანესი ცოტადაც არის შეცვლილიყო. მემატიანესი სასაცილოდაც არ ეყოფოდა, რომ გეთქვათ, არ იქნება ურიგო მაგ ცნობების გვერდით ესეც აღნიშნო: ამა-და-ამ გლეს-კაცს, აზნაურს, თუ თავადს რამდენი კოდი პური მოსდის, წელიწადში, რამდენ ხარჯს იხდის საბატონოს თუ სახელოწიფოს; რა წიადებაში უფროა წერა-კითხვა გავრცელებული; მოსამართლენი როგორა ბჭებენ, რა სასჯელს უწინაავენ დამნაშავეს და სხვანი, და სხვანი.

დრონი იცაღენ და შეხედულობაც ისტორიაზედ მასთან ერთად შეიკვალა. აწინდელი მემატია-ნესი ამ შეხედულობის შესაფერად უნდა მოიკეტეს. მან უნდა აღნიშნოს ყოველი წერილობანი მოვლენაკი, რომელიც იქნება თანამედროვეთა თვალში არაფრად ჩანდეს, მაგრამ მომავალმა შთამომავლობამ შეიძლება ჩვენის ცხოვრების დასურათებისათვის გამოიყენოს. ადიღლად სწარმოსადგენია, რომ ასსა და ორასს წელს შემდეგ ისტორიკოსებმა დიდი გულ-მოდგინებით გადაათვალიერონ წერილ-წერილი ამგები ვაჭეთებსა და ჟურნალებში გაბნულნი და ამ საფუძვლებზედ შეადგინონ ჩვენის ცხოვრების განვითარების ისტორია.

ავიღოთ მავალითისათვის შემდეგი ამბავი. წარმოვიდგინოთ, რომ უწინდელ დროში რამდენიმე თვალთ-უჩინარ პირთ, ცხოვრებაში ჯერ სრულიად გამოუსვლელთ, პირობა შექრეს ერთმანეთთან, ფული მოვარგოთ და ხალხში გასავრცელებლად წიგნები გემკვლიათ. წარმოვიდგინოთ, რომ ამ პირთ თაიანთ პირობა პირ-ათალად შეასრულეს და საზოგადოებას მიაწოდეს არამეტუ ძველ მწერალთაგან მონაღაწი გონების საუფჯე, არამედ ახალნიც გამოიწვიეს და წაახლისეს სამოქმედოდ, სასაპარგოდ. უწინ განა ამისთანა ამბავს ხსენების ღირსს ვახდიდენ? ახლა? ახლა სულ სხვაა. ახლანდელი ცხოვრების მკვლევარი ამისთანა საგანს გვერდს

ვერ აუელის და მოვალეა ანუსხოს როგორც თანამედროვეთა, ისე მომავალ თაობათა შესატყობად.



თუ გესურს ჩვენს ცხოვრებას კვლში ჩაუღვდეთ, ისე არ იქნება, რომ მგზობელ ხალხის ცხოვრებასაც თვალ-ყური არ ვადენოთ, ერთი-ერთმანეთს არ შევუფარლოთ და ამ შეფარდებით დარიგება რამ არ გამოვიტანოთ. ამ ყამად სწორედ წიგნების გავრცელებებზე გვიწად ვთქვათ რამე, რადგან ჩვენ ქართვლებს და ჩვენ მგზობელ სომხებს სწორედ ერთიანი „საზოგადოება“ გვყავს ამ საქმისათვის. განსხვავება ის არის, რომ სომეხთა საზოგადოება წიგნების ბეჭედის თორმეტი წელიწადია, რაც დაარსებულა და ქართველთა ამხანაგობა ამავე საქმისთვის კი სულ ორი წელიწადია მოქმედობს. მარტის 14 მონდა კრება სომეხთა საზოგადოებისა და ბევრი რამ საყურადღებო გამოიჩინა. აღმოჩნდა, რომ 1880 წელს დაარსებულ საზოგადოებას ათის წლის განმავლობაში ტაატი თვლია, სულ 22 წიგნი დაუბეჭდია, უფრო თარგმანები და ეს წიგნებიც გაუყუადევი სწყობია სარდაფებში, ერთი სიტყვით ისე უმოქმედნია, როგორც მოქმედობს... ჩვენი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. მაგრამ ამ უქანსაქელ ორ წელიწადს სსულად უტელია სახე; მოთავედ გამხდარან იმისთანა პირნი, რომელთაც მართლა საქმისათვის გული სტყვიათ და არა ისინი, ვისაც სხვა-და-სხვა საქველმოქმედო საზოგადოებაში წევრობა და თავმჯდომარეობა წარსულ ღვაწლის ღირსეულ დაჯილდოებად მიანიჭათ. საქმეც სხვაფრივ დატრიალებულა. ორი წლის განმავლობაში 39 წიგნი გამოუციათ და ეპრობაც ჯეროენად მოუწყვიათ. მართალია ამ წიგნებზედ საზოგადოებას 35,055 მანათი დახარჯია და ჯერჯერობით მხოლოდ მესამედზედ ცოტა მცირე ამოუტია 13,802 მან., მაგრამ ეს ისევე ძველი ცოდვების ბრალია. ახალნი საქმის მოთავენი უფრო მუყაითად მოკეიდებიან ამ საგანსაც და იმისთანა წიგნებს დაბეჭდენ, რომელსაც დიდი ზაზარი ექნება და ხალხის გონებამდე ვხას გააკვლევინებენ.

ჩვენდა სასიამოვნოდ ჩვენი „ამხანაგობა“ პირველშივე ასედა ჩვენი მგზობლების შეცდომას. ახალით საქმის მოთავედ ამორჩეულ იქნენ არა „ლიტერატურა“-ში ცნობილი პირნი, არ მდე უცნობნი ახალგაზდანი, რომელთაც წამჭეხებლად და წამხალისებლად მხოლოდ თაიანთი მოვალეობა ჰქონდათ თვალ-წინ გამოსახული. მართალია, წარსული წლის კრებაზედ ზოგიერთებს მოეწაღნათ გამგეობის გამოცვლა და ბოზოლებს ჩაყენება,—უზომოლავ-

ბოდ, ეტყობა, არსად რას გამოედგებთ — მაგრამ სპექტრის ნამდვილმა სიყვარულმა სძლია და ნორჩი ამხანაგობა მაინც ვაღარა წინაღულს შეეცდომას.

ორი წლის განმავლობაში მან მეტი მოიქმედა, ვიდრე სხვებმა 12 — 15 წელიწადში. ამ ჟამად ხელთ არა გვაქვს ანგარიში ამხანაგობისა, მაგრამ უნდა ვარწმუნოთ ვიცი, რომ მოკლე ხანში 21 წიგნი გამოუტყდა და მერე რა წიგნი? არა სიფრიდნა თარგმანები, ან წესდებანი სხვა-და-სხვა დაწესებულებათა, არამედ მთელი ტომები ჩვენთა მწერალთა ნაწარმოებისა. გამოცემას გარდა ორმოცამდე ალავას აგენტები აღუჩნია და ყოველივე საშუალება უხმავს, რომ განუწყვეტელი კომპირი დაამყაროს ამხანაგობასა და მკითხველს შორის.

დაგვეთანხმეთ, ეს ისეთი ლეწლია, რომელიც ბევრს თვალსაჩინო და გველენიან საზოგადოებას დაენატრება.



საზოგადო რამ მოვლენამ ხშირად გატაცება იცის: აპოლიზდებიან, საქმეს ცეცხლით მოედებან, მაგრამ აღტაცება თან და თან ნელდება, გროვდება და ბოლოს ჰქრება; დიდის ამბით დაწყებულ საქმეს თანამგრძობნი და მუშაენი ხელიდან ეცლება და ბოლოს, როცა ისპობა საზოგადო გულ-გრილობის გამო, გამოიან „მწიგნობარნი და მოძღვაურნი“ და მეცნიერული კილოთი გვაუწყებენ, ეს საქმე ჩვენი საქმე არ იყო; ჩვენს ცხოვრებაში ფესვები არა ჰქონდა ვადგმული და ამიტომ ბოლო ვერ გაიტანა, ნაყოფი ვერა მოიტანა-არა.

ესეთი ბედი ხედა წილად ამ თხუთმეტი წლის წინად მოდად შემოაღებულს გამსესხებელ-შემანახველ ამხანაგობათაც.

მაშინდელ მოღვაწეთ ესსამებათ, თუ რა აღტაცებით მიეგება ჩვენი საზოგადოება ამ ამხანაგობათა დაწესებას სხვა-და-სხვა დაბა-სოფელში, მაგრამ, რაკი მათ ბევრად ვერ იხიერეს, იმის მაგიერად, რომ ნამდვილი მიზნები ეძებნათ და საქმისათვის ეშველათ, მოჰყვენ ქადაგებას, ეს საქმე ჩვენი საქმე არ არისო და მოუყრუეს ყორი. ამ ყურ-მოყრუებას ის მოჰყვა, რომ ერთგულ მუშაკათ, რომელთაც ზოგან „ამხანაგობა“ ფეხზედ დააყენეს, სრული წესიერება დაამყარეს, ხალხი ერთიერთმანეთის დახმარებას და გაჭირვებაში ხელის-გაწოდებას შეაჩვიეს, — იმათაც კი, ვამბობთ, გული წაუბდათ და ახლა თითო ოროლი ამისთანა დაწესებულება ძლიესდა იბრუნებს სულს.

ამ ჟამად ხელთა გვაქვს მოკლე ანგარიში ერთ-ერთ ამისთანა ამხანაგობისა, რომელიც დაუარსებია

იმერეთში კუბი-გუბის საზოგადოებას ამ ამხანაგობას მომავალს მისში ცხრა წელიწადი შეუსრულდება. დაარსების დროს ამხანაგთა რიცხვი 27 ყოფილა, დღეს 261; ალბ-მისაცემი თანხა მაშინ 600 მან. ყოფილა, დღეს 14,333 მანათია. ეს ფული, რასაკვირველია, ტრიალებს და ამხანაგებს სესხადვე ეძლევა. სესხის ამღებნი იხდიდენ 12 პროცენტიდან 14-ამდე. ამხანაგობას დაუარსებია საამხანაგო სასი-მინდე, უყიდნია ათი მაშინა ვერპორცილისა ვენახების სასხურებელი, მსურველთათვის სათხოველად, ბოჩკები და საწმომღელად საჭირო შაბიამანი.

ვერე არა გვაქვს, სხვა ამხანაგობათაც რომ ამითანა მოთავენი აღმოჩნდნენ, როგორც კუბი-გუბისას, მათი საქმეც ასე კარგად წაიდოდა, მაგრამ სამწუხაროდ სხვაგან თვით საქმის გამგეთ ან უბრალო ანგარიშების წიგნების შედგენა და წარმოება უჭირდებოდათ, ან იმისთანა პირებს უხსნიდენ კრედიტს, რომელნიც ამხანაგობის კასას სრულიად იჯიბადდენ და თვით ამხანაგობას ცარიელზედ სტოვებდენ. ასე რომ არა ყოფილიყო, ხალხი მალე იგრძობდა ამისთანა დაწესებულების საარგებლობას. ვინ არ იცის, მართლაც, რომ ჩვენი ხალხი სოფლად ისე გაჭირვებულა, რომ ხშირად ასისა და ორასის პროცენტის მიცემას კისრულობს და ამისთანა გაჭირვების დროს 12 და 14 პროცენტიან სესხი ციდან ჩამოცივებულ მანანად არ უნდა მიითვალოს? თუდაც ნუ ვახსენებთ იმას, რომ კვილიად წარმართულს საამხანაგო საქმეს შესაძლოა ბევრი სხვა სიკეთეც მოჰყვეს გუბი-კუბის მავალითისამებრ, რაც ხალხს უფრო მტკიცედ ჩაუნერგავს იმ მრავალ-ნაყოფიერს გრძობას, რომ კაცმა კაცს გაჭირვებაში უნდა უძმოს, შეძლებისამებრ დახმარება გაუწიოს...



ამ გვარ გრძობას, სამწუხაროდ, მოკლებულია თვით ჩვენი განათლებული ტფილისის გამკეობა. ქალაქს განათება ეჭირება, ღამე მოსიარულე თაგბედს იწყველის, ორცა მის ბნელით მოკულს ჭჭიერებში გაეშვება, თითი გამკეობა ვერ ახერხებს ამ სენის აღკლებას და სხვადას უშლის, თუ საკეთილო რამ განიზრახა და შესარულა.

ტფილისის სათავად-ანაზორი ბანკმა პირველმა შემოიღო ტფილისში ელექტრონით განათება: გაანათა თავის თეატრი, ქარვასლის ეზო, ნაწილი სასახლის ჭურისა და ზოგიერთი თავის მალაზიები. რაკი მეზობლებმა ნახეს, რომ ამისთანა სინათლე სჯობს უხიერო ნათის მტკუტე ფარნებს, ნება აიღეს თავიანთ მალაზიების განათებისაც და ელექტრონის მა-

ეთულები გაიყვნენ ზოგიერთ სხვა სახლებშიაც. ახლა ქალაქის გამგეობას უბრძანებია ბანკისთვის, მათულები აალაგებინეთ, არ გაძლევთ ნებას სხვა სახლების განათებისასაო. რატომ, რისთვის, ვე აღლანხმა უწყის და გამგეობის გამჭირახობამ. მე ვერას ეაკეთებ და არც თქვენ გააკეთებინებთო. მერე ვის რა უშვებდოდა, ან შემდღეში რა დაუშვებდოდა? გამგეობა ქალაქისა იფიწყებს, რომ თუშეცა ფორმალური უფლება აქვს სხვას დაუშალოს ქალაქის სასარგებლოდ განზრახული საქმე, მაგრამ ზნეობითად კი ვერსად და ვერავისთან თავს ვერ იმართლებს.

ქალაქის მხოლოდანი საუკეთესო პირებს ქალაქის გამგედ და პატრონად იმისთვის კი არ ირჩევენ, რომ

„სისხელით ჭჭრან სისხალე“

არამედ იმისთვის, რომ პოეტისა არ იყოს,

“სისხალით ჭჭრან სისხელე“.

მოსას სიკაღილი

I

ინ არის გულით მხურვალით
ლოცვად ნაბაის შემდგარი,
ბელ-აპრობილი მუხლ-მოყრით,
სახე-დაღლილი, გამხდარი.
თავზედ სვეტად და სვეტადა
ნათელი რომ აქვს დამდგარი?
რას ითხოვს მაგრე შმაგივით,
ან რა აქვს საედერებელი,
ნეტა რას ელის ციდანა
იმედით შემყურებელი?..
განა ხმელეთზედ ვერ ჰპოვა
თვის ჭირთა მსალმუნებელი?!
— მოსეა, ლეთის მოვლენილი,
ისრავლთ სჯულის მდებელი.

II

აქამდის მისა ნებაზე
იყვენ ხმელი და ზღენია,
მის ბავთ არა სტოვებდენ
ციური სიტყვის თქმანია;
დღეს მისი ძალა-გაღლენა
ნეტაგი რამან არია?
რას ითხოვს ისეთს, რაც ახლა
მის ხელში აღარ არია?
ხომ არ დაუშრათ მდინარე,
სანატრელი აქვსთ წყალია,
ხალხი ილევა წყურვილით,
ცვარი ველარენ დალია?

*) ნაბაის შთა, სადაც ვადიკვალა მოსე.

ზღეა ხომ არ დახვედათ და მისი
დასჭირდათ ვადაბიგება?
— ლეთისგან არჩეულს მოსესა
განა რა გაუჭირდება,
კვერთხს დაჰპარეს, სალი კლდიდანა
ნაკალი ვაღმოღინდება;
ზღეა გზას დაუფლებს მის ერსა,
ზევით და ქვევით მიდგება.
იქნება ურჩმა მხედრებმა
შესკოდეს იეგოვასა
და მაგიერი სასჯელი
უწყალოდ მიეგო მასა?
ილოცე, მოსე, ილოცე,
მაღლა აღაყარ ხელები.
ციო ანგელოზნი ვაღმოვლენ
მაგ შენის ერის მტევლები.

III

ლოცულობს მოსე და ტრემლნი
მდინარს წყალს დაეწევიან,
ოფლი სდს, თვალთა უბენი
სისხლის ღვრით დაირწყვიან;
თვით სატანასაც შემზარენ,
თუ ცამდე აღიწყვიან.
ცაო, ყურს რატომ არ უფდებ,
რისთვის ხარ გაუმეზული,
ახლაც უსმინე შენს რჩეულს,
შენ გყავდა ვადიდებული!
ლოცულობს მოსე... მაღალნი
სღუმან ციურნი არენი,
სღუმან ფრიალნი მწვერვალნი,
სღუმან მინდორნი მწვანენი,
სღუმან ჩანჩქერნი, წყარონი
დაწყნარდენ მოწანწყარენი,
სღუმან ფრინველნი, ნადირნი,
უღაბნოს მოსახლკარენი.

IV

მზე ვადაგორდა, ტანჯული
ქვეყანა ტანჯვით გაწირა;
არ ვიცი, უფსკრულმა ჩანთქა,
თუ უყენემ ჩაძირა,—
ეს კი შემესმა, რომ ბნელმა
ქვეყანა მოსვლით ატირა.
აღარ სჩანს ისრავლისა
ბანაკი, ბნელმა დაძირა.
მიწყნარდა მხედართ განგაში
და დარაჯების ძახლი,
აღარც ბავშვები ტირიან,
ციო მოველნა მათ ძილი.

V

დაბნეული, ღამე, მაღალი
 ცაო, მიორთე შავადა.
 თქვენ, ვარსკლავებო, უფსკრულში
 თავი დამალეთ წყნარადა;
 მთვარეც, არა ხარ საქირო,
 გადაიარე ქარადა!
 ვეგები უფრო მხურვალე
 და ცრემლითან შეერთებული
 ლოცვა სთქვას მოსემ, ტანჯული,
 მწარე სიით გაბეჭრებული.
 სიკვდილს დაუთმოს მან გული
 ქვეყნისთვის აძვრებული,
 ან სანატრელი სათხოვნი
 იქმნას ცით შეწყობილი.
 ღმერთიც უსმენს და ალაღებს:
 ამ ქვეყნის დიდსა მნათობსა;
 ვერც ჭია შესჭამა, ვერც ჩიტი
 წაიღებს იმის ნათესა,
 მის ყანა მუდამ თაედაყრით
 ამძიმებს ქვეყნის ნაწრეტსა.

VI

სჯულის მდებელი ცრემლ-დაღვრით
 ითხოვდა პატიებასა,
 ითხოვდა აღთქმულ ქვეყნისა
 დანახვით მაინც შეებასა.
 ნუ თუ ცაც თავის რჩეულსა
 აღარ მისცემდა ნებასა,
 რომ სიკვდილის ქაშა შობილი
 ენახა მაინც დედასა.
 უკანასკნელი ძეალები
 მიეღო წმინდა მდგომარე,
 იმის საფლავი ზაფხულსა
 მწვანე სამოსით ემოსა,
 და შემოქმედი ისრავლეთ
 წმინდა საფლავზე ელოცა.

VII

თავის სიკაცხლე დალია
 დევნულმა გარეთ გდებია;
 დაეგლო შეფეთ სასახლე,
 აღესილი ფუფუნებითა;
 როგორც ფრინველი ცას ქვეშა,
 ცხოვრებდა ღვთისა ნებითა.
 არ ჰქონდა სახლი, არც ბინა,
 არც სხვა რაიმე ქონება;
 მის სარჩო იყო ღვთის სიტყვა,
 მაღლით მოსილი გონება,

მონობისაგან გამოხსნა,
 აღთქმული ქვეყნის გონება,
 გზა-დაკარგულის ცხოვარის
 ღვთის გზაზედ გამობრუნება
 და თავდაღებით სხვის ჭირის
 თავისი სისხლით კურნება.
 იკურთხოს მისი არსება,
 მისი ღვთიური ბუნება,
 მისებრი ღვდის ნაშობი
 ცით განგებ მოველინება.

VIII

მოსეს მხურვალე ვედრება
 ცას მისწვდა, დიდხანა,
 ღმერთი ისმენდა გულ დასმით,
 ატეობდნენ ლოცვის ხმანია;
 მაგრამ პასუხზედ კაცათვის
 არა სჩქარობენ ცანია.
 ლოცვამ დასძლია... ფრთიანთა
 მომებნენ მოსეს სადგომი,
 ღმერთი გადმოჰყვა ღრუბლითა,
 ნათელი ქვეყნის გაშფოვში,
 თან წამოიღო ნუგეში
 მოსეს გონების საწდომი!

IX


უცებ გაიღვა უკუნი,
 ნათლის მშობელის მხილველი,
 აღმოჩნდა უცხო სატები,
 საქები ვასაკვირველი,
 შორს, შორს აყვადენ მდგომანი
 სიხზარში მოსახილველი.
 აგერა ტურფა ქვეყანა,
 დასტები, საბრალოც, აქითა,
 თუ რაიმე შეგვმატება,
 ერთხელ იმისა ნახვითა.
 ან გული დავიამდება,
 აღარ მოჰყვები ტანჯვითა.
 საწყალი მოსე შეფრთხნით
 შესცქერდა აღთქმულ მზარესა,
 იქ, იქ უღებდა ოცნება
 წმინდა სამოთხის კარებსა!
 მსხვილი და ცხელი ცრემლები
 უღობდნენ დამქნარ დაწვებსა;
 ეპ, რა უღროოდ სტოვებდა
 იმ თავის მონადეაწვესა!
 მთლად მოიხილა; ევლარც კი
 ძღებოდა იმის ცქერითა.
 როგორც პირველად მიჯნურნი
 ერთად შეყრილი იყვნითა.
 რასაცა გრძობდა მოღვტემ,
 მიხედება აღმა ფრენითა:—

წარსული გაჰქრა, მკობადა
შესტკერდა დანანებითა.
თითქოს რო კიდევ შეჭურდა
სოცტლებს ბედნიერება,
აღარა სწამდა თვის ძალა,
არც თავის ზეციერება;
აღარც უნდოდა სამოთხე,
იქ სულის ნებრიება,
ისევ ერჩია სიკოცხლე,
გარყენილი ქვენიერება!

X

მაგრამ სად ფიქრი კაცისა,
სად ქვეყნის წამიერება.
აყვავდა დაქანა, ყვეილი,
აი მის ზანიერება,
აღარა ჰშველის მას ღმერთი,
ვერც ნიჭის განიერება!
ღმერთი ძირს დარჩა და სულმა
თავის სამყოფელს გაპრიდა,
არ ვიცი, ჰაერს შერთოა,
თუ მაღლა ღმერთთან ავიდა
ამას კი ეჭვი არ უნდა,
რომ წუთის სოფლით გავიდა:
რას დაედე ღმერთსა და ღმერთს,
ან სული საით წავიდა?
სახელს კი აბა რა მოჰკლავს,
კაცს რომ მოჰკლავს რჩეული,
ისევ სოცხალი მგონია,
მხოლოდ არა აქვს სხეული,
თვლით ვერ ვხედავთ, მგრგინავი
სიტყვა კვლავ გვემის ფრქვეული.
სოფელი უყვარს სოფელსაც,
არა ჰყავს დაეწყებული,
მის სახლი ყველას გულშია
სურვილით აშენებული
და კაცთ სიკოცხლე სამუდამოდ
იმიგან დამშვენებული!

თ. რაზიკაშვილი



ჩვენი სახალხო სამკითხველო



ისაც კი თვალი უღვენებია ჩვენი ცხოვრების
მიმდინარეობისთვის ამ უკანასკნელ ორ წე-
ლიწინად, ყველა ადვილად შეამჩნევდა ერთ სა-
სიამონო გარემოებას.

საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებიდან გვეს-
მის ამბები: ამა და ამ ადგილას გაიმართა სა-

კითხველო, ან მმართველო და ან კიდევ აპირებენ გამა-
რთვასა.

რას უნდა მიეწეროს ეს ფრიად ყურადღების
ღირსი გარემოება? ეინც ჩვენ ცხოვრებასთან დახ-
ლორეობით არა დგას, უთუოდ იფიქრებს: სოფლის
სკოლებმა ისეთი ნაყოფი მოიტანა, ისე გამრავლდნენ
წერა-კითხვის მკოდნენი, რომ იმათი უსაზრდოთ და-
ტოვება შეუძლებელია. მაგრამ ეინც ახლო ხედვს
ჩვენს სწავლა-განათლების საქმეს, ის სულ სხვა ფი-
ქრებს მიეცემა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „რო-
გორც გიჭირდეს, ისეც გიღირდესო.“

ჩვენ დღეს მხოლოდ სამკითხველოებზედ გვიანდა
ჩამოვავლოთ ლაპარაკი. ამ საქმისთვის საჭიროა ფუ-
ლი და წიგნები.

ხალხის სამკითხველოების გასამართავად უმე-
ტესად მონაწილეობას იღებენ სოფლის სკოლის მა-
სწავლებლები, რომელთაც მატერიალური საშუალებ-
ა არა აქვთ. საქმის დასაწყობად მომართავენ ხო-
ლმე ჩვენს ყურანალ-გაზეთებს, ჩვენს მწერლებს, წიგნე-
ბის გამოცემლებს და სხობიერ შემწეობის აღმოჩე-
ნას. ეს უკანასკნელიც ძალიან უნებურად იხენნ
ქველ-მოქმედებას, რადგან ამისთანა კი საქმისთვის
კაცი არას დაზოგავს. მაგრამ უნებლიედ გვაგო-
ნდება ანდაზა: „მკედარი მკედარს ავიდა, სამარემ-
დის მიმიტანო.“

მაშ როგორ იშოვნონ საქმის მეთაურება ფუ-
ლი, წიგნები, სახალხო სამკითხველოების გასამარ-
თავად, რომელნიც აუცილებლად საჭიროა, როგორც
დაინახავს მკითხველი ქვემო მოტანილ ტფილისში
გამართულ სამკითხველოს ანგარიშთან.

ჩვენი აზრით „წერა-კითხვის გამავრცელებელი
საზოგადოება“ უნდა ჩადგეს მათავედ ამ საქმეში.
სკოლებს, როგორც ვხედავთ, ვერა მართავს სხვა-და-
სხვა მიზეზების გამო და ახლო წიგნების ბეჭდვა და სა-
მკითხველოების გამართვა უნდა იყოს მისი უმთავ-
რესი საზრუნავი.

თუ ჩვენი ქართველი საზოგადოება არ აკლებს
ამ საზოგადოებას მუდმივ თავის თანაგრძობას, მა-
რტო ამიტომ კი არა რომ ეს ინახავს დასაწყისი-
დანვე გამართულ სამოთხე სკოლას!

ერთი წლის წინად, როგორც გვახსოვს, მმართველო-
ბისკრებაზედ აღძრა ლაპარაკი სახალხო სამკითხვე-
ლოების გამართვის თაობაზედ და იაფი ფასის წიგნების
გამოცემაზედ და ამითი, მგონი, გათავდა ამ მმართვე-
ლობის მოქმედება, რადგან, როდესაც აღმოჩნდა ორ-
იოდ სახალხო წიგნი დასაბეჭდად, სწორედ იმ დროს
არ აღმოჩნდა ამ საქმისთვის ფული.

შარშან ვაზაფხულს ქართველი ქალების პატარა წრემ განიზრახა ტფილისში დაეარსებინა ხალხისთვის იაფი ფასის საკითხველო, და რომ ნება-რთვის გამოტანაზედ დაბრკოლება არა ყოფილიყო რა, სთხოვა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ ეკისრნა ნება-რთვის გამოტანა და საქმის წაყენანს თითონ ქალები კისრულოდნენ.

პირველ თიბათვეს ქალებმა გახსნეს ბანკის ქარვასლის ეზოში წიგნთ-საცავი და სამკითხველო. დარჩენის დღეს წიგნები მხოლოდ 124 იყო, ამჟამად კი ათასამდის აღის.

ამასთანავე რაც ტფილისში ტურნალ-გაზეთები გამოდის და თეთი ზოგიერთი რუსეთისაც გამოწერილი აქვს ამ სამკითხველოს.

როგორც სწანს ანგარიშის წიგნებიდან, ვაზეთების მკითხველნი დღემდის ყოფილან 2135 და წიგნების შინ წამლებნი პირნი 240. ამათ წასაკითხად წაულიათ 1300 წიგნი.

უმეტესი ნაწილი ამ მკითხველებისა მოსწავლენი და სამსახურის კაცნი არიან. სამწუხაროდ დაზოგა ხალხი ჯერ არ შესწავლია საკითხავად მისვლას და იმათგანი სულ ცოტანი სარგებლობენ.

ვაზეთის კითხვა თითო კაპეიკა და ვისაც წიგნები შინ მიაქვს, თემში აბახს აძლევს, მხოლოდ მოსწავლენი იხდიან ამის ნახევარ ფასს. რაც დასაწყისში სამი თვის შემოსავალი ჰქონდა ამ სამკითხველოს, ახლა ერთ თვეში შემოდის, მაგრამ მაინც შეუძლებელია, რაც უნდა ბევრი მკითხველი ჰყავდეს, რომ შემოსავალიმ დაჰფაროს გასავალი. და ამისთანა სამკითხველოს უნდა ჰქონდეს ყოველთვის თანხა. გარდა მაგისა საქმის მეთაურნი მოვალენი არიან, მეტადრე მოსწავლეს ამორჩევით მისცენ უფრო ის წიგნები, რომელნიც შინაარსით ღირსნი არიან და სარგებლობის მოტანა შეუძლიანთ. სახალხო წიგნები ამჟამად ჩვენ ცოტა გვაქვს, ამაზედ ჩვენ სხვა დროს მოვილაპარაკებთ. ახლა ჩვენდა სამწუხაროდ არ ვით დაწერილობით და წამდივალად, რა ადგილებში გაიშართა სამკითხველო, ან რა სახსარი აქვს ამათ თავის დასარჩენად. კარგი იქნება ამის გამო მოგვაწოდონ ცნობები, რა საშუალებას ხმარობენ გულ-შემატკივარნი ამისთანა საქმის კვი ნიადგაზედ დასაყენებლად.

ა. წ.

სხალსური ლექსები

ნღობა-სურვილისა ¹⁾

(უმუკა ნაწარლი გრ. აუზ-ნაყოფისა)

I



ავალ, ჩვევებ ციხესა
ბროლ-მარგალიტის ქვისასა;
ზეით ვაგებურად ფიცარსა
აბანოზისა ხისასა;

შიგ ჩავდგამ ჭიქის ჭურჭლებსა
სასესა სურვილისასა;
ჩვევებ უკუ-აბრამუშსა,
საჩრდილობელსა შვისასა...
შიგ ჩავსემ, ჩემო ლამაზო,
ნიაფს არ ვახლებ მითისასა!...
— ევაჟო, დედის ერთაო,
მინდორთ ვაზდილო, ევლთაო;
ოქროს შობაის ნაველეჯო,
წამოსარტყემლო წელთაო;
მასკულაო შარავანდელა,
ქრისტიან ნაჭერო ხელთაო,—
ნუ ჰფელაფოზობ ენთაო, ზე
ყელზე ნუ მახვევ გველთაო!...

II

— დილით მზე ამოსვლას იყო,
შენ ამოუსწარ წინაო.
თუ ჩემი ნღობა არა ვაქვს,
ნეტავი მაკლიდნაო:
არც უტყვენ მოგწეწოდი,
არც შეგებდებოდი წინაო!
— მინდორთ რომ სისხლის ტბა ბრუნავს,
ვადსავლები სად არი? ²⁾
შიგ რო წევს გველი წითელი,
თავსა ჰძრავს, ბოლო სად არი?
ბევრსა ჰკლავს ბევრის სურვილი,
მაგრამ ვაგება სად არი?
— ობოლი მარგალიტი ხარ,
ჩაქრილი ოქროს შობშია;
იბუღებს ქორ-შავარდნი
შენის თვალ-წარბის გრილშია;
ნეტავი, შენი ჰორიმე,
ნღობას არ მისცა შიშია:
მალიმალ გესტუმრებოდა,
ჩამოგაკოცნიდი ზორშია!...
— სწორობის ვამჩნეს ვემდური—
ნღობა რად გააჩინაო?
მეც იმან დამწევა, დამდგა,
ცეცხლი მან აშიჩინაო!...

¹⁾ ჰფელაფოზობ—ცბიერობ.


²⁾ ვადსავლები—წყლის ვადსაშვები ალაგი.

¹⁾ ეს ორი სიტყვა: ნღობა და სურვილი, ამ ლექსებში მკითხველმა „სიყვარული“-ს მაგიერ უნდა ივულისხმოს.

მარია ლუიზა ბურბონისა

ეს ერთი თევა, რაც რუსეთისა და უცხო ქვეყნის გაზეთებს მოაქვთ აშბავი, რომ ბოლღარის მთავარი ფერდინანდ კობურღელი ირთავსო პარმის ჰერცოგის ქალს, შვილისშვილს უწინდელის ნეპოლის კაროლის ფერდინანდ მეორისასო. ამ აშბავმა დიდი მიწერა-მოწერა გამოიწვია ევროპის სახელმწიფოებს შორის და ეინ იკის, ასეთს საქმეს, რა ბოლო ექნება. ყოველ შემთხვევაში ეს ბოლო არ იქნება სასიამოვნო ბოლღარისათვის, რადგან იმპერატორი სრულიად რუსეთისა არ არის კმაყოფილი ამქორწინებით და პატივადები საბუთიცა აქვს. ბოლღარია განათავისუფლდა რუსეთმა ოსმალეთის მონაობისაგან, რადგან ბოლღარები სლოვაინების, ესე იგი რუსეთის ერის მონათესავენი არიან. მათი ენა ძალიან დაახლოვებულია რუსულ ენასთან და ამასთანავე თვით ბოლღარის ხალხი აღიარებს მართლმადიდებლობის სარწმუნოებას, მაშინ როდესაც მარია ლუიზა ბურბონისა კათოლიკის სარწმუნოებისა არის. სანამდის პრინს ფერდინანდს ქალის მამამ პირობა არ დაადებინა, რომ მათი შვილები თავისუფალნი იყვენ სარწმუნოების აღსარებაში, მანამდის არ დათანხმდა თავის ქალის გათხოვებაზედ. ასეთს პირობას ფერდინანდ კობურღელი ეერ დაუღებდა თავის მომავალს სიმამრს, თუ ბოლღარის სახელმწიფო წესდებულენას ბოლღარის ხალხის საერო რჩევა არ შესცვლიდა, ისე რომ ფერდინანდ კობურღელს შესძლებოდა აღეზარდა თავისი მომავალი შვილები იმ სარწმუნოებაზედ, როგორსაც მშობელი ირჩევდენ. რაკი დაბრკოლება ამაზედ მიღვა, ფერდინანდ კობურღელმა მოითხოვა ნებართვა ბოლღარის ხალხისაგან. ხალხმა ამ ერთის თვის წინად მოახდინა საერო ყრილობა და გადასწყვიტა: ნება ექმ-

ნეს ფერდინანდ კობურღელს და მის მეუღლეს, აღზარდონ თავიანთ შვილები მათსავე სარწმუნოებაზედ და მართლმადიდებელი სარწმუნოების მიღების იძულებისაგან თავისუფალნი იყონ. რუსეთის ხელმწიფე მართლმადიდებელს და მონათესავე ხალხს ვერ მოუწონებდა ასეთს საქციელს და ამ დღეებში გაზეთებში კიდევ მოგვიტანეს აშბავი რუსეთის ხელმწიფის სამართლიანის გულისწყრომისა. ჩვენმა სამხრისტრამ ცირკულიარი მისწერა ევროპის სახელმწიფოების კარზედ მყოფთა თავის დესპანებს. აი, შინაარსი ამ ცირკულიარისა: ბერლინის ხელშეკრულობას არ დაუწყებია, რომ ბოლღარიაში რომელიმე დინასტია



მარია ლუიზა ბურბონისა

მკიდრად გამოთარებულ იყოსო. მეოცდა ათე მუხბილი ამ ხელშეკრულობისა ამბობს, რომ მთავარი უნდა ამოირჩეს ხალხისგან და დამტკიცებულ იქნას უმაღლეს პორტისაგან (სულთნისაგან) ევროპის სახელმწიფოთა თანხმობით. იგივე მუხბილი დასძენს: „უკეთეს მთავრის ალაგი დაკალიერდა, იმავე წესითა და რიგით უნდა ამოირჩიონ ახალი მთავარიო“. აქედან სჩანს, რომ ბოლღარის მთავარს არა აქვს დამტკიცებული მემკვიდრეობითი უფლებაო. არაერთი მთავრობა, რომელსაც თავის მონათესავე ხალხისათვის და მართლმადიდებლობის სარწმუნოების დასაცეკლად სისხლი დაუღერია, ვერ დასთმობს, რომ მის მიერ დადგენილი წესწყობილება, რომლის გულისთვისაც ფრიად დიდი მსხვერპლი მიუძღვის, ეინმე შევარციოს და ბოლო მოუღოს.

ჩვენა არ შესცვლიდა, ისე რომ ფერდინანდ კობურღელს შესძლებოდა აღეზარდა თავისი მომავალი შვილები იმ სარწმუნოებაზედ, როგორსაც მშობელი ირჩევდენ. რაკი დაბრკოლება ამაზედ მიღვა, ფერდინანდ კობურღელმა მოითხოვა ნებართვა ბოლღარის ხალხისაგან. ხალხმა ამ ერთის თვის წინად მოახდინა საერო ყრილობა და გადასწყვიტა: ნება ექმ-

ჩვენა უნდა ეთიქორთ, რომ ასეთს გადაწყვეტილებას კარგი ბოლო არ ექნება ბოლღარისათვის, რადგან ცხადია, რომ მთავრისა და მისი შთამომავლის კათოლიკობა, ადრე თუ გვიან, გააძლიერებს კათოლიკის სარწმუნოებას ბოლღარის სამთავროში. ფერდინანდის კობურღელისა და მარია ლუიზა ბურბონის ქორწილი უნდა მოხდეს აპრილის 10 ახალი სტილით ანუ მარტის 27 ძველი სტილით.

თუმცა ბოლღარიაზე ბევრი რამ დაწერილა ამ თხზულების წლის განმავლობაში, მაგრამ დარწმუნებული ვართ, ჩვენს მკითხველს მაინც არ ეცოდინება მისი შესანიშნავი ისტორია. ვინ წარმოიდგენდა, რომ ხალხი, რომელიც ოთხასი წელიწადი ოსმალეთის მონებაში დაჰყოფდა, თითქმის სრულებით დაჰკარგავდა თავის დამოკიდებულებას, ეს ხალხი, ნიადაგ ტანჯვასა და მწუხარებაში ჩაყენებული, სრულად განადგურებული მახანდიანობის ძალმომირობისაგან, კიდევ შეიარჩნდა ეროვნების სულის, სარწმუნოების და სარწმუნოების განხვევებით მოილოდინებდა იმ დროს, როცა დაუღვებოდა კიდევ აღდგომის წაში. მაგრამ ასე უძლეველია ერის ცხოვრება, თუ რომ იგი შეიარჩნეს მამაპაპის სულის და არ დაჰკარგავს იმედს, მხნეობას წარსულის დიდების მოგონებით. მართლაც ერთ დროს ბოლღარიის სახელმწიფო ისეთი ძლიერი ყოფილა, რომ ბიზანტიის იმპერიასაც გასჭირებია მისი გამკლავება და ვერ დაუმორჩილებია. ის კი არა, მეათე საუკუნეში ბოლღარიის მეფე მიხეილმა მთელი ბიზანტიის სამფლობელოები დაისაკუთრა და თვით კონსტანტინეპოლის დაქვევაც ემუქრებოდა. ეს ძლიერება შეიზა ბოლღარიის სამეფოს მეცამეტე საუკუნეში. მაგრამ მეოთხეხეტე საუკუნის გასულს ვაძლიერებულმა ოსმალებმა საბოლოოდ დაამხვეს ეს სამეფო. ბაიაზიდმა დაიჭირა მათი სატახტო ქალაქი ტირნოვო, იმ ბაიაზიდმა, რომელიც შეიპყრო შემდეგ თემურ-ლანგმა და რკინის გალიით დაჰყავდა. ამ დროდან მოიხსოვ ბოლღარიის სამეფო და ხალხი ჩაეარდა ურუჯეშო მდგომარეობაში. რამდენსამე საუკუნეს შემდეგ ბოლღარიის ხალხმა ნელ-ნელა წამოიწყა ხელი. მისმა გამდიდრებულმა ეპარქებმა 1844 წელს თავის ხარჯზე დააარსეს ტირნოვოში სახალხო სკოლა და ამ დროდან იწყება ბოლღარიელების მეცადინეობა თავისუფლების მოსაპოვებლად. არ გასულა მას აქეთ ოცდაათი წელიწადი, მისმა მხნე ახალგაზდობამ, რომელიც მომეტებულ ნაწილად რუსეთში და ევროპის სახელმწიფოებში იზრდებოდა, გააღვიძა ერი, ჩაურჩავა გულში მას სამშობლოს სიყვარული. იმათ მისცეს ერთმანეთს პირი ნასწავლ ახალგაზდობის თაონობით და შეითქვენ განდგომილებისათვის. არც რუსეთი უყურებდა გულ-გრილად თავის მოწათესავისა და ერისარწმუნოების ხალხის მწუხარებ მდგომარეობას. ბოლღარიის მთაოსნებელთაქ ქონადი იმედი, რომ მართლ-მადიდებელი რუსეთი მათ არ დადგებდა გაჭირების დროს და ამის გამო ასატნეს ბრძოლა როდობის მიერში. ოსმალეთის ჯარი სასტიკად მოექცა მათ: დიდი დაპატარა, ქალი და

კაცი, მოხუცი და ჩხვილი ერთიანად გასწყვიტა რამდენსამე სოფელში. მტარავლობის მსხვერპლი აღიოდა ათას სულამდის. ეს მოხდა 1876 წელს.

გულ-ლომობიერმა ხელმწიფე იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ არ მოითმინა ამდენი ქრისტიანის სისხლის დაღერა და 1877 წელს გამოუცხადა ოსმალეთს ომი. ოსმალეთი დამარცხდა და 1878 წელს ბერლინის ხელშეკრულობის ძალით ბოლღარიას მიენიჭა საუფლებოდ განთავისუფლება.

ახლა თვით ბოლღარიაში და აღმოსავლეთის რუმელიაში ირიცხება მხოლოდ ორმილიონ სამას ორმოც-და-ექვსი ათასი სული მცხოვრები.

დღეს იმათ აქეთ საკუთარი სახელმწიფო წესდება. სახელმწიფოს მართავს ექვსი მინისტრი, რომელთ შორის ერთი მათგანი თავმჯდომარეა. სახელმწიფო რჩევა შესდგება ორას ოც და-ათი კაცისაგან. ამომჩიველად ირიცხება ყოველი ბოლღარიელი მამაკაცი, რომელიც ხნით ოც-და-ერთის წლის ნაკლები არ უნდა იყოს; რჩევის წევრი კი ოც-და-ათის წლის ნაკლები არ უნდა იყოს, დღეს ბოლღარიას შეუძლიან ას ორმოც და-ათი ათასზედ მეტი ჯარი გამოიყვანოს ბრძოლის ველზედ. იქ ისეთი წესია, რომ ყოველმა კაცმა, ჩვიდმეტის წლიდან დაწყებული, უნდა იცოდეს იარაღის ხმარება და, თუ საქმრო იქნა, უარის უთქმელად უნდა გაივდეს ბრძოლის ველზედ სამშობლოს დასაცველად.

გ—ლი

ქართველთა რაოდენობის გამოსანგარიშებლად



ქამდის ჩვენს ისტორიის გამოაკლევებელთ ვერ მოუყენაით ცნობაში რაოდენობა მცხოვრებელთა საქართველოში ამ უკანასკნელის შეერთებამდის რუსეთთან. აქა იქ დასახლებული რიცხვი ქართველთა (მაგილითად ბაგრატიონთა დროს ამობენ ქართველთა რაოდენობა არ აღემატებოდა 1 1/2 მილიონ სულს) და მყარებულას სავითი მოსახრებაზედ რა წყაროების შესწავლაზედ. ადგომ-ადგომ, გაცვირთ მოტანილი ცნობანი მატრიანეში და გუჯრებში ქართველთა რაოდენობის შესახებ საქმროა შეიკრიბოს, რომ დაახლოვებით რიცხვი მაინც იყოს გამოანგარიშებული. ამ აზრით მკითხველს გავაწნობ ნინოწმინდის „გუჯარს“, სადაც მოტანილია საეკლესიო ყმათა რიცხვი.

„გუჯარში“ ყმანი ერთგვარად არიან ჩამოთვლილინი. მათი ამწერიელი ასახელებს ყმის გვარს და თვითოეულ გვარში „თავთა“ რაოდენობას. „თავად“ ითვლებს მხოლოდ მამაკაცი და ამიტომ რიცხვი დე-

დაკაცთა და ყრმათა ანუ მკირე წლოვანთა არ არის აღნიშნული. მაშასადამე „თავი“ უღრის რუსეთის „ДУША“-ს ანუ სულს, რომელსაც პეტრე დიდის კანონმ:ებლობით ხედა წილად სამსახურის ტვირთი („ТЯГЛО“). აი ორიოდგე მაგალითი ჩვენი „გუჯრის“:

ბედიაშვილი სახლხუცესი იოანე, შვილი პეტრე, კომლი ბ, თავი ბ. (მამა და შვილი—ორი თავი), კუჭუაშვილი ლუკა, კომლი ბ, თავი ბ და სხვ.

ამ გვარად ჩამოთვლილია 205 კომლი: ორი კომლი პატარაძეულში მოსახლენი და 203 კომლი საგარეჯოში. „გუჯრის“ შემდგენელი პირველად ანგარიშობდა კომლსაც და „თავთა“ რიცხვსაც, შემდეგ კი მხოლოდ კომლთა დასახელებით კმაყოფილდება. ამიტომ ძნელია გამოსაანგარიშებლად რამდენი „თავი“ მცხოვრები იყო საგარეჯოში. თუ, როგორც მიღებულა, ვიგულისხმებთ ორთაშუა რიცხვით კომლში ხუთ სულს (მამა-კაცი, დედა-კაცი და ყრმანი), მაშინ საგარეჯოში მცხოვრებთა რიცხვი აეა 1015 სულამდის. „კაცების კალენდარში 1893 წ.“ საგარეჯოში ნაჩვენებია 4247 სული, მაშასადამე მცხოვრებელთა რიცხვს თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში ერთი ოთხად უმატნია, თუ არ მივიღებთ საექვრად ჩვენი „გუჯრის“ ცნობას.

აღრიცხვა ყმათა სწარმოებდა დახალოებით „თვალზედ“, როგორც „გუჯარი“ გეუწყებს. „გუჯრის“ შემდგენელი აღნიშნავს აგრეთვე ხიზანთა და ბოგანოთა რიცხვს: იქნა ჯამი ნინოწმინდის უმამულოს მსახლობელის ხიზნის კაცისა (იბ); იქნა ჯამი თვალზედ უმამულოს მსახლობელის ბოგანო კაცისა (თ).

„გუჯრის“ შედგენის დრო შეიძლება გამოირკვიოს ამ მინაწერით: „მისის უმაღლესობის ბრძანებით როდეს კახეთის მორიგის აღსაწერად რომ წავედით ჩვენ კახეთის მდივანი იოსებ და ღირსი პატროსანი მღვდელი კანდელაკი დავით და აღწერეთ კახეთის ღაჯათის კომლსის მორიგენი და მოვიწინით საგარეჯოს თქვენ ყოველად სამღვდელს ნინოწმინდელ სახასთან და თქვენის ეკლესიის ყმანი, სადაც რომ გისახლობდათ დიდის გამოძიებით აღესწერეთ მამულებზე მსახლობელობითა და უმამულონი ბოგანო და ხიზანი“. ნინოწმინდელი საბა ხშირად იხსენიება ჩვენს „გუჯრებში“ (გვ. 102) და ფურცელადეს მიერ გამოცემულ „Церков. гудж.“-ში (გვ. 29—30); ამ წყაროების ჩვენებით „გუჯრის“ შედგენა უნდა ეკუთვნოდეს მე-XVIII საუკუნის პირველ ნახევარს.

საერთოდ საყურადღებო საგანად მოგვაჩნია (მივაქცევთ მკითხველთ ყურადღებას) გამოკვლეულ იქნას როდენად მრავლდება ქართველი.

ა. ხახანაშვილი

* * *



ამერლვა მყუდრო ცხოვრება, გული გამიხდა ტიალი; პირთამდე გამილიცილცდა მწარე ნაღველით ფიალი!

ყველა ჩემს სისხლს სეამს დღე-მუდამ: ლეკი, თათარი, ურია, მძაც შორი-ახლო მიყეყევეს საკბენად, როგორც მურია.

—ბიჭო, რას მერჩი? რა გინდა, მძის სისხლი რადა გწყურია?! რატო არა ჰკბენ იმას, ვისც შენი სიკეთის შურია.

რად ხდები იულის კრძი, პირი რად მოგიმურია; თუ გშიან, ლუკმისთვის მყილი, მოდი, გაჯამო პურია...

ნუთუ მაგისთვის ეცვა ჯვარს ძე მაცხოვარი გმობითა, რომ ერთმანეთი დაესჭამოთ ქმშობითა და მტრობითა?!

მტერი შორიდან დასცილის ჩემს ყოფას სინარულითა... შენ თუ გიჩენებს თეთრ კბილსა, ჩემთან შევია გულითა:

ორპირი მახელი არის მისი გრძობა და საღამი; ჩვენ თუ საფლავსა გავეთხრის, შენც გლევწავს, როგორც წალამი.

მოდი, ვიცხოვროთ იესოს ბრწყინვალე მაგალითითა; თავს ნუ გავიხდით მასხარად და საჩვენებლად თითითა.

დაეწეგოთ ისე ჩვენ შორის სიმშვიდე შინაურული; ძმები ვართ ქართულ-კახელნი, იმერელ-მეგრელ-გურული.

მავრამ რა მემისი პასუხად, რას მეთუნება ჩემი ძმა... რაც მითხრა, გულში დაემარხავ, რადგან ძნელია ამის თქმა.

მხოლოდ კი ვიტყვი, როდესაც არწივი ღამურ-ბუღდება, კისერს მოიტტეს უღრყოვად, იმედი გაუტრუდება.

გვიან მიხედება შეცდომას ბამბა-დაცული ყურებში; გარეულებიც პანდურს ჰყენენ შერცხენილს შინაურებში.

მერცხალა.


ქალაქის სასტუმრო დარბაზი

ჩიკაგოში



ელს ერთს ამერიკის დიდ ქალაქში ჩიკაგოში იმართება მსოფლიო გამოფენა. ბევრ საკვირელებათა შორის აუცილთ იქ თოთხმეტ სართულიანი სახლი ქალაქისაგან. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ამ ქალაქის კედლებს აქვს სისქე ორი ვერ შოკი. საკვირელოა ამ ქალაქის მასალის სიმაკრე: ცეცხლი ვერ დასწვამს, თოფის ტყვია მის კედელზედ მიეჭლიტება, ფოლადზედ უფრო მტკიცე და მავარია.

ღის მასლით აგებულის სასტუმრო დარბაზისა, რომელსაც აქვე ეხატათ გადაღებით. ამ თოთხმეტ სართულიანს შენობაში ხუთასი სასტუმრო ოთახია, რომელთაგან სამასს აქვს თავისი საკუთარი სადგომები, შიგ მოწყობილი საბანებელ აუზებით, ბილიარდებით, ძვირფასი სახლის მორთულობით და ყოველნაირი საოჯახო ჭურჭლით. ყოველს სადგომს ამ დარბაზში აქვს თავისი ელექტრონის ზარი დასაძახებლად და თავის ქაზრაჟი სტუმრების ასაყვან-ჩამოსაყვანად ზემო სართულებიდან. იქვე იმ დარბაზშია გამართული სადილ-იანხში, ჩაი, ყავა, ყოველნაირი სასმელები და საუზმე. იქვე არის სტუმრები-



ქალაქის სასტუმრო დარბაზი ჩიკაგოში

ტფილისში ღიღინანა ცხოვრებს ერთი მოხუცებული, ყველასაგან ცნობილი, მკურნალი ჰომეოპატი რეინენბახი, რომელსაც ჩიკაგოდან მოუვიდა პატიკობის წერილი მკურნალთა კომიტეტისაგან, რათა ამ დარბაზში საჰომეოპატო რჩევა მოხდეს მსოფლიო გამოფენის დროს. ამ მოპატივებასთან ერთად გამოუგზავნიათ მისთვის ნახატი იმ საკვირელოს ქალა-

სთვის საერთო დიდი ზალა, მეიღნები სტუმრების სასიყრდელ და ამ სადგომის მეიღნებში გაწყობილია ბაქნები, რომელშიაც მოიპოვება ყოველნაირი საეპრო, ასე რომ სტუმარს შეუძლია შიგ იცხოვროს მთელი წლობით და არავითარი საქირიებისთვის არ მოუხდეს სასტუმროდან სხვაგან წასვლა. მთელს სასტუმროში მოათესდება ათას ხუთასი კაცი.

ჩვენი სახიზრის ისტორია

თეკურღანგა

დრამა ოთხ მოქმედებად კ. მესხისა.

ანამდის ამ დრამის შესახებ რასმე ვიტყვოდეთ, საჭიროდ ვჩნებით თვალი გადავავლოთ ისტორიულად ქართულს დრამატულს სახიზრას, ანუ სცენას.

პირველმა შუქმა ევროპის განათლებისამ სხვათა შორის თეატრის საშუალებით შემოსტრეიტა ქართულს საზოგადოებაში. ერთა დანიანა თავისი ცხოვრების სურათი სცენაზედ ბევრ ნაირი ნაკულუღევანებითა, დანიანა აგრეთვე უფრო განათლებული ცხოვრების სურათებიცა, როგორც დასავლეთის ევროპისა, აგრეთვე რუსეთის მოწინავე საზოგადოებისა. ამით ქართველი კაცის გონებამ იწყა გამოფხიზლება, ის თანდათან უფრო ღრმად გრძობდა თავის ნაკულულ ენებას და თანდათან უფრო იფხიზლებდა ქართულს მოწინავე დასში სწავლა-განათლების სურვილი. ქართველმა საზოგადოებამ შეერგა უმჯობესი გონებით და ზნეობით ნაეტრა, ანუ რიგორც იტყვიან იდეალი.

